

რა არის GHB?

GHB (Gammahydroxybutiras) - გამა-ჰიდროქსიბუტირატი არის საინექციო ნარკოტიკი, რომელსაც თებრაციების წინ იყენებენ. დასავლეთის ქვეყნებში ფართოდ გამოიყენება დისკოთეკებზე, მას განსაკუთრებით ფართოდ მოიხმარენ ჰომოსექსუალისტები.

გამოშვების ფორმა

- GHB, ჩვეულებრივ, თხევადია და ბოთლებში იყიდება
- გამოდის აგრეთვე ტაბლეტების, ფხვნილისა და კაფსულების სახით
- მას ყლაპავენ, აქვს ცოტა მარილიანი გემო



გაურკვეველი სიძლიერე

GHB ძალიან საშიშია, რადგან ბოთლში მისი კონცენტრაცია მერყეობს. ერთ ბოთლში შეიძლება GHB საკმაოდ ცოტა იყოს ან 20გ-ით მეტს შეიცავდეს. შეუძლებელია სითხის სიძლიერის ზუსტი განსაზღვრა, ამიტომ მაღალია ზედოზირების საფრთხე.

არასოდეს დაამატოთ GHB, თუ იგი უკვე

მიღებული გაქვთ

✓ გაფრთხილება!

ეფექტურ და მომაკვდინებელ დოზებს შორის განსხვავება ძალიან მცირეა!

ნუ შეურყევე სხვა ნარკოტიკებს!

GHB კიდევ უფრო საშიში ხდება, თუ მას სხვა ნარკოტიკებს შეურყევ, განსაკუთრებით დეპრესანტებს, როგორცაა დამამშვიდებელი საშუალებები ან ალკოჰოლი.

არის ეს სექსუალური ნარკოტიკი?

შესაძლებელია გაიზარდოს სექსუალური მოთხოვნილება და არა მისი რეალიზაციის საშუალება, მაგრამ....

გამა-ჰიდროქსიბუტირატი

GHB-ს ზემოქმედება

- GHB-ს ზემოქმედება გრძელდება 10 წუთიდან 1 საათამდე, ამასთან მნიშვნელობა აქვს როგორც მიღებულ რაოდენობასა და კონცენტრაციას, ასევე სხეულის წონას
- მცირე რაოდენობით GHB ზემოქმედებს როგორც ალკოჰოლი, იწვევს აგზნებასა და ეიფორიას
- უფრო მაღალი დოზის მიღებისას ეიფორიული ეფექტი იცვლება დათრგუნულობით და დეპრესიით

გაფრთხილება!

ნუ გამოცდი გამაჰიდროქსისუტირატის მომაკვდინებელ ეფექტს საკუთარ თავზე!

მძიმე ფიზიკური დაზიანებები

თუ შენ დოზას გაზრდი, არსებობს გართულებების რისკი:

- თავს ცუდათ იგრძნობ და გულისრევა დაგეწყება
- შესაძლებელია გაშეშდე და მოძრაობის უნარი დაკარგო
- დაკარგო ორიენტაცია
- დაგეწყოს კრუნჩხვები
- შეიძლება შეწყვიტო სუნთქვა და კომატოზურ მდგომარეობაში აღმოჩნდე

თუ რაიმე პრობლემები შეგექმნა

კრუნჩხვები (შეტევები) - ეცადე შენი მეგობრის დაცემის შეჩერება, თუ რა თქმა უნდა შეგიძლია. გაუნთავისუფლე გარშემო ადგილი, რათა არ დაშავდეს. შეუხსენი ტანსაცმელი ვისერთან და თავქვეშ ამოუდე რაიმე რბილი. როდესაც შეტევა გაუვლის, დააწვინე იგი ისე, როგორც ეს 134 გვ-ზეა ნაჩვენები. **დაურეკე სასწრაფოს!**

გულის წასვლა - თუ შენი მეგობარი ჯერ კიდევ სუნთქავს, დააწვინე იგი, როგორც ეს 134 გვ-ზეა ნაჩვენები. აუცილებლად უთხარი ექიმს, თუ რა მიიღო შენმა მეგობარმა. მხოლოდ ამას შეუძლია მისი სიცოცხლის გადარჩენა.

- იყავი მზად, ისევ გამოაცხადებო შენი მეგობარი, თუ მან სუნთქვა შეწყვიტა (გვ. 135)
- თუ შენს მეგობარს გული წაუვიდა, მიაქციე ყურადღება მის სუნთქვას.

კომატოზური მდგომარეობიდან გამოსვლა მხოლოდ სამედიცინო დახმარების დროული აღმოჩენის შემთხვევაშია შესაძლებელი!

